აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №6

27/12/2021 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების გამოუსადეგარი, ვადაგასული საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტის ცნობად მიღების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 20 დეკემბრის №01-01/1977 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული 2020 წლის 31 ოქტომბრის (I და II ტური) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ნაწილში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და შპს „მედიკალ სპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს წარმომადგენლების მიერ 2021 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული გამოუსადეგარი საარჩევნო დოკუმენტაციის განადგურების აქტი №1.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №1 დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი